აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ქ. ზუგდიდი

**ოქმი № 1**

30 დეკემბერი 2015 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 31 წევრიდან 28 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ლევან შონია - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;
2. მამუკა კვიტაშვილი -აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
3. პაატა ქურდოვანიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
4. გელა ხოშტაია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
5. ედიშერ თოლორაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
6. ლაშა გოგია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
7. ალექსანდრე გრიგალავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
8. ალექსი გაბისონია - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
9. ვარლამ ქაჯაია - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
10. მაიზერ ჯაფარიძე - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
11. ზაურ ჩართოლანი -მესტიის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარე;
12. გოჩა დგებუაძე - სენაკისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
13. ჯუმბერ ლაშქარავა - სენაკისმუნიციპალიტეტისგამგებელი;
14. ბადრი კალანდარიშვილი -სენაკის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარე;
15. დათო გოგუა- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
16. ბესიკ ესებუა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი;
17. კობა ჯიქია - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
18. გოგა გულორდავა - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
19. თემურ ღვინჯილია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
20. გონერ კვარაცხელია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; მოადგილე;
21. გოჩა ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
22. ედიშერ ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
23. მამუკა ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
24. ირაკლი გოგოხია - ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;
25. მერაბ ქვარაია - ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
26. გიორგი თოდუა - ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
27. ირაკლი კაკულია - ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი;
28. ალექსანდრე თოფურია - ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. მაკა ფიფია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. ლაშა გვასალია - სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
3. დათო კოდუა - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
4. ნუგზარ გაბელია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
5. იასონ შეროზია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
6. გელა სვირავა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის განხილვა და მოწონება.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტი რომლსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე ნუგზარ გაბელია.

ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტი (2015-2017 წლებისთვის). კერძოდ, 5 დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ერთიანი ცხრილი (დანართი № 1), სადაც მოცემულია რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში „რგპფ"), მუნიციპალური ბიუჯეტიდან, სახელმწიფო სტრუქტურებიდან (რომელთა კორექტირებაც შესაძლებელია კონსულტაციების შესაბამისად), დასაფინანსებელი პროექტები, ასევე პროექტების დიდი ჯგუფი, რომელთა დაფინანსების წყარო ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული, თუმცა მუნიციპალიტეტებისათვის მათი განხორციელება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სამუშაო

ჯგუფების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების აღწერილობები (სულ 57 საპროექტო წინადადება).

სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ შეაფასა სამუშაო ჯგუფების მიერ განახლებული სამოქმედო გეგმის შესაბამისობა და ასახული პროექტების თანმიმდევრულობა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიებთან და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების პროგრამასთან მიმართებაში და მიიჩნია აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად. სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ ასევე განიხილა აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები, მათი 2016 წლის ბიუჯეტები და მიიჩნია, რომ ისინი თანხვედრაშია რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან და შესაბამის სამოქმედო გეგმასთან.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმაში სულ ასახულია 812 პროექტი (238194857,8 ლარის ჯამური ღირებულებით), რომელთაგან 268 პროექტი (49668469 ჯამური ღირებულებით) დასრულდება 2015 წლის ბოლოსთვის, ხოლო 544 პროექტი (188526388,8 ჯამური ღირებულებით) უნდა განხორციელდეს 2016-2017 წლებში გამოყოფილი სახსრებით.

2016-2017 წლებში სამოქმედო გეგმაში ასახული 544 პროექტებიდან (188526388,8 ლარის ჯამური ღირებულებით) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან დაგეგმილია 382 პროექტის (58650605 ჯამური ღირებულებით) დაფინანსება, ხოლო 162 პროექტი (129875783,8 ჯამური ღირებულებით) გათვალისწინებულია რეგიონში დასაფინანსებელი პროექტების ფონდში წარსადგენად.

**აზრი გამოთქვა:** სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

**საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).

2. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ლ. შონია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/